ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2025 წლის _____ ივნისი; ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის N10 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 02/05/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016435) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმა ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”
დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზანია „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

.ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2025 წლის 05 მარტს N:1425064788-06 განცხადებით მომართა შპს ,,ალიანს სიტის’’ წარმომადგენელმა მალხაზ ქათამაძემ და მოითხოვა „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანა. აღნიშნული დადგენილებით დამტკიცდა განაშენიანების დეტალური გეგმა ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე 05.23.04.021მიწის ნაკვეთზე.

გდგ-ს ცვლილებების მიზანი:

საანგარიშოდ დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე და დამკვეთის საპროექტო მოთხოვნის შესაბამისად, პროექტის გაკეთილშობილების მიზნით განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების ამოცანას წარმოადგენს დადგენილი კ-2 კოეფიცენტის 0.3 მაჩვენებლით გაზრდა.

წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს შემდეგ ქალაქგეგმარებით პარამეტრებს:

ა) კ-1 ოეფიცენტი დარჩეს უცვლელი კ-1= 0,7

ბ) კ-2 კოეფიცენტი გაიზარდოს 18.0 მაჩვენებლიდან 18.3 მაჩვენებლამდე. კ-2= 18,3

გ) კ-3 კოეფიცენტი დარჩეს უცვლელი კ-3=0,1

დ) შენობანაგებობების მაქსიმალური სიმაღლე დარჩეს უცვლელი და შეადგენს საპროექტო ±0.00 ნიშნულიდან 230.00 მ.

საპროექტო ტერიტორია თავისი გაბარიტული პარამეტრებიდან გამომდინარე საშუალებას გაზრდილი კოეფიცენტების გამოყენების შემთხვევაშიც შენარჩუნდეს საპროექტო ტერიტორიის დადებითი მხარეები კერძოდ:

ა) საპროექტო ტერიტორიაზე მაღლივი შენობები განლაგდება ისეთნაირად რომ არ შექმნის ხელოვნურ ფარდას, რათა არ ჩაკეტოს აერაციისა და ვიზუალური აღქმის არეალები. საპროექტო ობიექტები აშენდება და მოპირკეთდება მაღალი კლასის სამშენებლო მასალებით რაც დადებითად იმოქმედებს ქალაქის ვიზუალური მხარის გაკეთილშობილებაზე.

ბ) შენობა ნაგებბები ტერიტორიაზე დაისმება გრგ-ში დადგენილი წითელი და ლურჯი ხაზების შეზღუდვების სრული დაცვით.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე-არ გამოიწვევს .

პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

პროექტის მომზადების პროცესში არ მიღებულა კონსულტაციები;

პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

პროექტის ინიციატორი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**